



ბანათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი  
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა  
უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

ფარმაციის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა

საჯარო სამართლის იურიდიული პირი -  
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

დაწესებულებაში ვიზიტის თარიღი - 1.12.2020

დასკვნის წარდგენის თარიღი - 17.12.2020

თბილისი  
2020

### ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	საჯარო სამართლის იურიდიული პირი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	245428158
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი

### ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ფარმაცია
განათლების საფეხური	მეექვსე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მითითებით	ფარმაციის ბაკალავრი 0916
სწავლების ენა	ქართული
კრედიტების რაოდენობა	240
პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/ახალი)	აკრედიტებული

### ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ია ფანცულაია, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ნათია კვიციანიძე, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ვახტანგ თებიძე, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ზურაბ ნაცვლიშვილი, შპს “აგროარომა ჯგუფი”, საქართველო

### აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემადგამელი დასკვნა

#### ▪ ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

ფარმაციის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში ამოქმედდა 2012 წლიდან (03.07.2012; №150). აკრედიტაციის ვადა ამოიწურა 2020 წლის 1 ივლისს, თუმცა პროგრამის ვადა გახანგრძლივდა 2020 წლის 31 დეკემბრამდე. აღნიშნული პროგრამა ერთადერთია აჭარის რეგიონში და ემსახურება ბაზარზე ძალიან მოთხოვნადი სპეციალისტების - ფარმაცევტების მომზადებას, ინოვაციური პრინციპის მიხედვით: „ფარმაცევტი - პაციენტი - წამალი“. პროგრამის დამთავრების შემდეგ სპეციალისტებს შეეძლებათ სამკურნალო ნედლეულის, სუბსტანციის, სამკურნალო -

პროფილაქტიკური საშუალებების დამზადება, სამკურნალო საშუალებების ხარისხის კონტროლი და სტანდარტიზირება, ფარმაცევტული დახმარება, აპარატურა-დანადგარების და ხელსაწყოების უსაფრთხოდ ექსპლუატაცია, ფარმაცევტული დაწესებულებების სტრუქტურული ერთეულების მართვა.

საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო სასწავლო კურსებს ეთმობა 187 კრედიტი, მათ შორის 5 კრედიტის ფარგლებში სტუდენტი ასრულებს საბაკალავრო ნაშრომს; სპეციალობის თავისუფალ არჩევით კურსებს ეთმობა 20 კრედიტი, 33 კრედიტის ფარგლებში კი სტუდენტები შეისწავლიან თავისუფალ სავალდებულო სასწავლო კურსებს.

პროგრამის სწავლის შეფასების ანალიზის შემდეგ მრავალი ცვლილება განხორციელდა: კერძოდ, განახლდა სასწავლო კურსებში ლიტერატურა და შეივსო ქართულენოვანი წყაროებით; შეიცვალა შეფასების კომპონენტები და მეთოდები, დასკვნით გამოცდაში შეტანილი კომბინირებული შეფასების სისტემა, დეტალურად გაიწერა ლაბორატორიული და ჯგუფში მუშაობის თემები, დაწესდა მინიმალური ზღვარი გამოცდაზე დაშვების და ასევე დასკვნითი გამოცდის გადალახვის. დამსაქმებელთა მოთხოვნა გათვალისწინებული იქნა და გაიზარდა სასწავლო-პრაქტიკული კურსები და საკონტაქტო საათები.

#### ▪ აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2020 წლის 27 აგვისტოს N740387 ბრძანების და მასში შესული ცვლილების (18.11.2020 N1105976) საფუძველზე მიმდინარე წლის 1 დეკემბერს აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფმა შემადგენლობით: ია ფანცულაია (თავმჯდომარე); ნათია კვიციანიძე (წევრი); ზურაბ ნაცვლიშვილი (წევრი), ვახტანგ თებიძე (წევრი) განახორციელა სსიპ-ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ფარმაციის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების გამოყენებით შეფასება აკრედიტაციის სატნდარტებთან შესაბამისობის შემოწმების მიზნით.

ვიზიტი მიმდინარეობდა დისტანციურ რეჟიმში დაწესებულებასთან წინასწარ შეთანხმებული დღის წესრიგის შესაბამისად, ექსპერტთა ჯგუფი შეხვდა უნივერსიტეტისა და ფაკულტეტის ადმინისტრაციას, მოისმინა დაწესებულების ხედვა აღნიშნული პროგრამის განხორციელებასთან და სამომავლო პერსპექტივებთან დაკავშირებით, შეხვდა და გაესაუბრა პროგრამის თვითშეფასების ჯგუფს, საბუნებისმეტყველო და ჯანდაცვისა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელს, პროგრამის ხელმძღვანელებს, მოწვეულ და აკადემიურ პერსონალს, ასევე გაიმართა შეხვედრები პროგრამის სტუდენტებსა და კურსდამთავრებულებთან. ჯგუფმა ონლაინ დაათვალიერა პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო მატერიალურ-ტექნიკური ბაზა.

დღის ბოლოს ექსპერტთა ჯგუფის წევრებმა დაწესებულების წარმომადგენლებს გააცნეს ძირითადი მიგნებები.

## საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა

### სტანდარტი 1: სრულად შესაბამისია

### სტანდარტი 2: მეტწილად შესაბამისი

რეკომენდაციები: 2.3: სილაბუსებში მითითებული ძირითადი სასწავლო ლიტერატურის განახლება; ზოგიერთ დისციპლინაში სილაბუსის სათაურსა და შინაარს (თემატიკას) შორის მეტი შესაბამისობა;

2.6 სასწავლო კურსების სილაბუსებში, სადაც ზეპირი გამოკითხვების კომპონენტებში მოცემულია მხოლოდ მაქსიმალური შეფასება, საჭიროა ასევე წარმოდგენილი იყოს შესაბამისი კრიტერიუმები, თუ რის მიხედვით უნდა მოხდეს კონკრეტული ქულით სტუდენტის შეფასება;

საბაკალავრო ნაშრომის შეფასების წესში საჭიროა დეტალურად განსაზღვრული იყოს ხელმძღვანელის მიერ ნაშრომის შესრულების მიმდინარეობის შეფასების და რეცენზენტის შეფასების კრიტერიუმები.

### სტანდარტი 3: სრულად შესაბამისია

### სტანდარტი 4: სრულად შესაბამისია

რეკომენდაცია 4.1: პროფილურ დისციპლინებში მოწვეულის ნაცვლად აფილირებული პროფესორების რაოდენობის გაზრდა;

### სტანდარტი 5: სრულად შესაბამისია

## რეკომენდაციები

2.3 სილაბუსებში მითითებული ძირითადი სასწავლო ლიტერატურის განახლება;

ზოგიერთ დისციპლინაში სილაბუსის სათაურსა და შინაარს (თემატიკას) შორის მეტი შესაბამისობა;

2.6 სასწავლო კურსების სილაბუსებში, სადაც ზეპირი გამოკითხვების კომპონენტებში მოცემულია მხოლოდ მაქსიმალური შეფასება, საჭიროა ასევე წარმოდგენილი იყოს შესაბამისი კრიტერიუმები, თუ რის მიხედვით უნდა მოხდეს კონკრეტული ქულით სტუდენტის შეფასება;

საბაკალავრო ნაშრომის შეფასების წესში საჭიროა დეტალურად განსაზღვრული იყოს ხელმძღვანელის მიერ ნაშრომის შესრულების მიმდინარეობის შეფასების და რეცენზენტის შეფასების კრიტერიუმები.

4.1 პროფილურ დისციპლინებში მოწვეულის ნაცვლად აფილირებული პროფესორების რაოდენობის გაზრდა

## რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია მოხდეს დამსაქმებელთა უფრო მეტი ხარისხით ჩართვა სტუდენტთა სწავლების პროცესში, რათა პროგრამის დამთავრებისას სტუდენტებს დასჭირდეთ ნაკლები ადაპტაციის პერიოდის გავლა და ჩაერთონ აქტიურად სამუშაო პროცესში;

- სასურველია გაიზარდოს პროგრამის აკადემიური პერსონალისა და სტუდენტების ჩართულობა სამეცნიერო-კვლევით პროექტებში.

- **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)**

უსდ-ის ელექტრონული პორტალის მეშვეობით სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა, საგამოცდო ნაშრომების შეფასებებზე თანდართული კომენტარის სახით მიიღონ უკუკავშირი შემფასებლის მიერ შესაბამისი განმარტებებით.

- **განმეორებითი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

## პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

### 1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

#### 1.1 პროგრამის მიზნები

პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული იგი და რა წვლილი შეაქვს დარგისა და საზოგადოების განვითარებაში.

#### სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

ბსუ-ს ფარმაციის პროგრამის მიზანია პროგრამის მიზანია: „თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი კვალიფიციური პროფესიონალის - ფარმაცევტის მომზადება, რომელიც აღჭურვილი იქნება ფარმაციის ძირითად დარგებში ფართო საბაზო და პროფილური დისციპლინების თეორიული ცოდნით ფარმაცევტული საქმიანობის განხორციელების მიზნით“.

ფარმაცია ჯანდაცვის სფეროს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დარგია, რომელიც სწრაფად ვითარდება და ფართოვდება, რაც სპეციალისტებზე მოთხოვნილების გაზრდის საწინდარია. შრომის ბაზარზე პერმანენტულად მზარდი მოთხოვნილების გათვალისწინებით წარმოდგენილი პროგრამის მიზანია ინოვაციური პრინციპის „ფარმაცევტი - პაციენტი - წამალი“ შესაბამისად პრაქტიკულ საქმიანობაზე ორიენტირებული ბაკალავრის მომზადება ფარმაციის სპეციალობით.

პროგრამის ასახული კომპონენტები უზრუნველყოფს კონკურენტუნარიანი, ცვალებად პროფესიულ გარემოსთან ადვილად ადაპტირებადი ფარმაცევტის მომზადებას, რომელსაც გააზრებული ექნება ფარმაცევტის არსი და სოციალური მნიშვნელობა.

პროგრამის მიზანი სრულად შესაბამისობაშია ბსუ მისიის, სტრატეგიული გეგმისა და ფაკულტეტის დებულებასთან. პროგრამაში წარმოდგენილია დამსაქმებლების კვლევა, რომელიც მიუთითებს კვალიფიციური ფარმაცევტული კადრის დეფიციტზე, რომელსაც ეცოდინება „ფარმაცევტული ნედლეულის დამზადება, გადამუშავება, მზა წამალთფორმების მომზადება, ფარმაცევტული ანალიზი და სტანდარტიზაცია, რაციონალური ფარმაცოთერაპია, ფარმაცევტული დაწესებულებების და საწარმოების ორგანიზაციის პრინციპები, მენეჯმენტი და საბაზრო ეკონომიკის თეორიული საფუძვლები, პრაქტიკულად მათი განხორციელების ხერხები, მეთოდები და თანამედროვე ტექნოლოგიები“. ამდენად, პროგრამის მიზნები არ არის განყენებული შრომის ბაზრის საჭიროებებისგან, ითვალისწინებს დამსაქმებელთა მოთხოვნებს.

თუმცა, სასარგებლო იქნება საერთაშორისო მეთოდებით სწავლების გამოცდილების მიღებისათვის, ახალი, თანამედროვე ტექნოლოგიების გაცნობისათვის, თემატურად მონათესავე უცხოეთის უნივერსიტეტებთან უფრო აქტიური ურთიერთობის დამყარება და

სტუდენტების გაცვლითი პროგრამების განხორციელება.

ასევე, დამსაქმებლებთან ინტერვიუდან გაირკვა, რომ მათ უხდებათ ახალი კადრების, ჩვენს შემთხვევაში კურსდამთავრებულების გადამზადება, მათ უშუალოდ დასაქმებამდე. ამ მიზნით მათ გააკეთეს დაშვება, რომ შესაძლებელია ეს მოხდეს უნივერსიტეტში, სწავლის პერიოდში, დამსაქმებლების მონაწილეობით (შეხვედრები, კონსულტაციები, ტრენინგები). შედეგად; კურსდამთავრებულები დაუყოვნებლივ ჩაებმებიან შრომით საქმიანობაში და ამავდროულად, დამსაქმებელიც არ დახარჯავს დროსა და დამატებით ფინანსებს. პროგრამის მიზნები ჩამოყალიბებულია ნათლად და მკაფიოდ, ორიენტირებულია შრომის ბაზარზე და თანხვედრაშია საზოგადოების ინტერესებთან. პროგრამის მიზნები მისი შინაარსის გათვალისწინებით მიღწევადია.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- საგანმანათლებლო პროგრამა
- ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის მისია
- ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის მისია და სტრატეგიული განვითარების გეგმა.
- საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის სტრატეგიული განვითარების გეგმა.
- ფაკულტეტის დებულება.
- ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2019 წლის 14 აგვისტოს №06-01/95 დადგენილება „ბსუ-ს ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკის გამტკიცების შესახებ“.
- შრომისა და განათლების ბაზრის კვლევა
- ვებ-გვერდი - [www.bsu.edu.ge](http://www.bsu.edu.ge)
- ინტერვიუს შედეგები

**რეკომენდაციები:-**

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

სასურველია მოხდეს დამსაქმებელთა უფრო მეტი ხარისხით ჩართვა სტუდენტთა სწავლების პროცესში, რათა პროგრამის დამთავრებისას სტუდენტებს დასჭირდეთ ნაკლები ადაპტაციის პერიოდის გავლა და ჩაერთონ აქტიურად სამუშაო პროცესში

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

-

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

-

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

**შეფასება**

○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

**x შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

**1.2 პროგრამის სწავლის შედეგები**

- პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას;
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს;
- შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

**აღწერა და შეფასება**

ფარმაციის საგანმანათლებლო პროგრამის კურიკულუმი შედგენილია ლოგიკურად დალაგებული სასწავლო კურსებისაგან, რომელთა შესწავლა განაპირობებს განსაზღვრული კომპეტენციების გამომუშავებასა და კვალიფიკაციის მიღებას.

წარმოდგენილი საბაკალავრო პროგრამით გათვალისწინებული კომპლექსური სწავლება მიზანმიმართულია და უზრუნველყოფს უმაღლესი განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოთი განსაზღვრული კომპეტენციებისა და დასაქმების ბაზრის მოთხოვნათა შესაბამისად ფარმაციის სფეროს საქმიანობისთვის საჭირო კომპეტენციების მიღწევას.

სწავლის შედეგების მისაღწევად გამოიყენება სხვადასხვა მეთოდები, რომელიც აღწერილია შესაბამისი სასწავლო კურსის სილაბუსებში. აღნიშნულ მეთოდთა ერთობლიობა უზრუნველყოფს პროგრამით გათვალისწინებული შედეგების მიღწევას. კერძოდ გამოიყენებული იქნება ლექციის, ლაბორატორიული მეცადინეობის, პრაქტიკული, ჯგუფში მუშაობის, სავლე პრაქტიკის და სხვა მეთოდები. სწავლება განხორციელდება სხვადასხვა აქტივობით: დემონსტრირება, დისკუსია/დებატები, პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება, თანამშრომლობითი სწავლება, შემთხვევის ანალიზი, გონებრივი



იერიში, როლური და სიტუაციური თამაშები და სხვა.

პროგრამა მოიცავს 240 კრედიტს, რომელთაგან ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო სასწავლო კურსებს ეთმობა 187 კრედიტი, სპეციალობის თავისუფალ არჩევით კურსებს - 20 კრედიტი, 33 კრედიტის ფარგლებში კი სტუდენტები შეისწავლიან თავისუფალ სავალდებულო კურსებს, რომელთაგან 5 კრედიტი დათმობილია სასწავლო კურსებისათვის - საქართველოს ისტორია, ფსიქოლოგია. 28 კრედიტი განკუთვნილია აკადემიური წერის, ინგლისური ენის შესწავლისა და საინფორმაციო ტექნოლოგიების დაუფლებისათვის, რაც ბაკალავრს გაუადვილებს საგანმანათლებლო-სამეცნიერო სივრცეში ორიენტირებას, თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების შემოქმედებითად გამოყენებას და განუვითარებს დარგობრივ კომპეტენციებს. წარმოდგენილი პროგრამა შეესაბამება კვალიფიკაციის ჩარჩოს შესაბამის დონეს და იძლევა განათლების შემდეგ საფეხურზე სწავლის გარგძელების შესაძლებლობას.

კერძოდ, პროგრამის დასრულების შემდეგ სტუდენტმა იცის და აცნობიერებს:

1. ფუნდამენტური და პროფილური ქიმიური დისციპლინებს და ფარმაცევტული პროდუქციის ვარგისობისა და ხარისხის განმსაზღვრელი მეთოდებს;
2. წამლის სხვადასხვა ფორმების დამზადების სამრეწველო და სააფთიაქო ტექნოლოგია, ფარმაცევტული პროდუქციის წარმოებაში გამოყენებული ტექნოლოგიურ მეთოდებს და მათი სპეციფიკას;
3. ნედლეულის, სუბსტანციის, ფარმაცევტული პროდუქციის დამზადების, ანალიზის, ფარმაცევტული ზრუნვის მნიშვნელობას ეფექტიანი, ხარისხიანი და უსაფრთხო სამკურნალწამლო საშუალებების შექმნისა და რაციონალური ფარმაცოთერაპიისათვის; პროფესიულ პასუხისმგებლობა და სათანადო ეთიკურ ნორმები;
4. ფარმაცევტული პროდუქციის საქართველოს ბაზარზე დაშვების, ხარისხის კონტროლის, რეკლამირებისა და საქონელბრუნვის მარეგულირებელი საკანონმდებლო ბაზას.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის და ადმინისტრაციასთან ინტერვიუს შედეგად დადასტურდა, რომ პროგრამის შემუშავებაში აქტიურად ჩართული იყო აკადემიური, მოწვეული პერსონალი, დამსაქმებელი („BCG RESEARCH“-ის მიერ მომზადებული „შრომისა და განათლების ბაზრის კვლევა“ და საერთაშორისო ბაზრის ტენდენციები) და სტუდენტები.

პროგრამის განახლების პროცესში გამოყენებული იქნა ბსუ-ს აკადემიური უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, შეფასებისა და განვითარების უზრუნველყოფის წესი, სადაც დეტალურადაა წარმოდგენილი სტუდენტების მიერ საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევის შესაფასებელი კრიტერიუმები.

პროგრამის შედეგების მიღწევის სამიზნე ნიშნულია სტუდენტთა 55%. შეფასება მიმდინარეობს თანმიმდევრულად და გამჭვირვალედ, იმ სამიზნე ნიშნულების შესაბამისად, რომელიც პროგრამას აქვს თითოეული სწავლის შედეგისათვის. ასე მაგალითად: „I. შედეგი მიღწეულად ჩაითვლება თუ საბაკალავრო ნაშრომის დაცვაზე

გასულ სტუდენტთა 55 % მიიღებს დადებით შეფასებას; II. დასკვნითი გამოცდა - შედეგი მიღწეულად ჩაითვლება თუ სტუდენტთა 55 % მიიღებს არა ნაკლებ 21 ქულას“;

პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ანალიზი გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად, რაც გულისხმობს, საჭიროების შემთხვევაში, პროგრამის შინაარსის და/ან სწავლის შედეგების და/ან შეფასების სისტემის მოდიფიცირებას.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე ფარმაციის პროგრამაში განხორციელდა შემდეგი ცვლილებები:

- ✓ გაიზარდა სავალდებულო კურსების რაოდენობა (ფარმაცევტული ეთიკა და დეონტოლოგია, ფარმაციის მენეჯმენტი და მარკეტინგი; კლინიკური ფარმაცია; კლინიკური უნარ-ჩვევებისა და ანალიზის ინსტრუმენტული მეთოდები) და სასწავლო კურსებში გაიზარდა პრაქტიკული მეცადინეობების წილი;
- ✓ დამოუკიდებელ სასწავლო კურსებად გაიწერა ჰიგიენის საფუძვლები ფარმაციაში და ეკოლოგიის საფუძვლები;
- ✓ არჩევით კურსებს დაემატა ბიოფარმაციის; ფარმაცევტული საქონელმცოდნეობის; ეკოლოგიის საფუძვლები; პროფესიული ლათინური ენის სასწავლო კურსები.

სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის კურსდამთავრებულთა პროფესიით დასაქმების სფეროების მოთხოვნებს და იძლევა განათლების შემდეგ საფეხურზე სწავლის გაგრძელების შესაძლებლობას.

#### მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამა-
- კურიკულუმის რუკა-
- ბსუ-ს აკადემიური უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, შეფასებისა და
- განვითარების უზრუნველყოფის წესი-
- ბრძანება სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ
- შრომისა და განათლების ბაზრის კვლევა
- შრომის ბაზრისა და დამსაქმებელთა მოთხოვნების ანალიზი ოქმი#2
- სწავლის შედეგების შეფასების ელექტრონული სისტემა -
- სწავლა-სწავლების მეთოდების განსაზღვრა, სამუშაო ჯგ. ოქმი
- სტუდენტთა აკადემიური მოსწრების შედეგები
- პერსონალის გამოკითხვის შედეგები
- სტუდენტების გამოკითხვა.
- დამსაქმებლების გამოკითხვა.
- ლინკი. დამსაქმებლებთან შეხვედრა <https://bsu.edu.ge/sub-11/page/13618/index.html>
- სამუშაო ჯგუფის ოქმი #4.
- პროგრამის სამიზნე ნიშნულები.
- ინტერვიუს შედეგები

#### რეკომენდაციები:

-
<b>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</b>
-
<b>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</b>
<ul style="list-style-type: none"> <li>○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის</li> </ul>
<b>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</b>
<ul style="list-style-type: none"> <li>○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)</li> <li>○</li> </ul>
<b>შეფასება</b>
<p>○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა</p> <p><b>x შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</b></p> <p><input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან</p>

**პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა**

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის	X			

შესაბამისობა				
--------------	--	--	--	--

## 2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

<b>2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები</b>
უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები.
<b>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</b>
<p>პროგრამაზე მიღების წინაპირობები გამჭვირვალეა და თანხვედრაშია საქართველოს კანონმდებლობის ყველა მოთხოვნასთან. კერძოდ, ბსუ-ის ფარმაციის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე ფარმაციის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე სრული ზოგადი განათლების მქონე საქართველოს მოქალაქის ჩარიცხვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების მიხედვით; ასევე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილი წესით და დადგენილ ვადებში სწავლა ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე დასაშვებია: უცხო ქვეყნის მოქალაქეებისათვის და მოქალაქეობის არმქონე პირებისათვის, რომლებმაც უცხო ქვეყანაში მიიღეს სრული ზოგადი ან მისი ეკვივალენტური განათლება; საქართველოს მოქალაქეებისათვის, რომლებმაც უცხო ქვეყანაში მიიღეს სრული ზოგადი ან მისი ეკვივალენტური განათლება და სრული ზოგადი განათლების ბოლო ორი წელი ისწავლეს უცხო ქვეყანაში; პირებისათვის, რომლებიც სწავლობენ/სწავლობდნენ და მიღებული აქვთ კრედიტები უცხო ქვეყანაში ამ ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში.</p>
<b>მტკიცებულებები/ინდიკატორები</b>
<ol style="list-style-type: none"> <li>1. საგანმანათლებლო პროგრამა</li> <li>2. „ბსუ-სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“.</li> <li>3. კანონი უმაღლესი განათლების შესახებ.</li> <li>4. ინტერვიუს შედეგები</li> </ol>
<b>რეკომენდაციები:</b>
-

<b>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</b>
-
<b>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</b>
<ul style="list-style-type: none"> <li>○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის</li> </ul>
<b>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</b>
<ul style="list-style-type: none"> <li>○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)</li> <li>○</li> </ul>
<b>შეფასება</b>
<p>○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა</p> <p><b>x შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</b></p> <p><input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან</p>

<b>2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი</b>
<p>პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.</p>
<p><b>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</b></p> <p>საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო სასწავლო კურსებს ეთმობა 187 კრედიტი, სპეციალობის თავისუფალ არჩევით კურსებს - 20 კრედიტი, 33 კრედიტის ფარგლებში კი სტუდენტები შეისწავლიან თავისუფალ სავალდებულო სასწავლო კურსებს, რაც უნივერსიტეტის მიერ იგულისხმება ძირითადი აუცილებელი საგნების ჩამონათვალში, დისციპლინის ნებაყოფლობითი არჩევა, თუმცა სასურველი იქნებოდა ამ ტერმინოლოგიის შეცვლა, კერძოდ, გაიმთავროს ძირითადი და თავისუფალი არჩევითი საგნები.</p>

საბაკალავრო პროგრამის სხვადასხვა კომპონენტებში გამოყენებულია სწავლის შედეგების მიღწევის სხვადასხვა ფორმები და მეთოდები, კერძოდ: გამოიყენება სწავლების ისეთი მეთოდები, როგორებიცაა ვერბალური, წიგნზე მუშაობის, წერითი, დემონსტრირების, პრეზენტაციის, თანამშრომლობითი სწავლების, ქმედებაზე ორიენტირებული მეთოდები და სხვა. სილაბუსებში მითითებულია სწავლების არსებული მეთოდების დიდი ჩამონათვალი, რაც ბადაებს კითხვას რამდენად ხდება სწავლის დროს ყველა ამ მეთოდის გამოყენება და როგორი თანმიმდევრობით. აკადემიურ პერსონალთან ინტერვიუებით გამოიკვეთა რომ შეფასების ყველა მეთოდი გამოიყენება წარმატებით და უზრუნველყოფს პროგრამით განსაზღვრული შედეგების მიღწევას.

ფარმაციის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის შესწავლა ეფუძნება თეორიული და პრაქტიკულ-ლაბორატორიული მეცადინეობების თანმიმდევრულ და უწყვეტ ციკლს.

სტუდენტთა და დამსაქმებელთა ინტერვიუების შედეგად გაირკვა, რომ სასწავლო და კვლევითი კომპონენტები, მათი მოცულობა, მეთოდები და მიზნები სწორად არის შერჩეული და უზრუნველყოფს ამ კომპონენტებით დასახული მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევას. პროგრამის სრულყოფაში ჩართულია როგორც პროგრამის განმახორციელებელი პირები, ასევე სტუდენტები და მეტნაკლებად დამსაქმებლები. მათი რეკომენდაციებისა და რჩევების გათვალისწინებით მოხდა პროგრამის სრულყოფა.

ყოველივე ზემოთ თქმულიდან გამომდინარე, გამოყენებული სწავლების მეთოდების ერთობლიობა უზრუნველყოფს პროგრამით გათვალისწინებული შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი - ფარმაციის ბაკალავრი, შეესაბამება ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოთი განსაზღვრულ სფეროს ჩამონათვალს.

ბსუ უზრუნველყოფს პროგრამის შესახებ ინფორმაციის განთავსებას უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე. პროგრამა ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული პირისთვის. პროგრამის ანოტაციისა და სასწავლო გეგმის განთავსება ხდება უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე.

წარმოდგენილი პროგრამის სილაბუსებზე, ინტერვიუს შედეგებზე და თვითშეფასების დოკუმენტიდან გამომდინარე არის მცირე ხარვეზები, რომლის გამოსწორება ხელს შეუწყობს სტანდარტის ხარისხიანად და სრულად შესრულებას

#### მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამა
- სილაბუსები.
- ვებ-გვერდი - [www.bsu.edu.ge](http://www.bsu.edu.ge)
- ინტერვიუს შედეგები

#### რეკომენდაციები:

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

-

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
- 

**შეფასება**

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

**X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

**2.3. სასწავლო კურსი**

- ძირითადი სპეციალობის თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს;
- სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს/დარგის აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

ფარმაციის საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს 240 კრედიტს. საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო სასწავლო კურსებს ეთმობა 187 კრედიტი, სპეციალობის თავისუფალ არჩევით კურსებს- 20 კრედიტი, 33 კრედიტის ფარგლებში კი სტუდენტები შეისწავლიან თავისუფალ სავალდებულო კურსებს, რომელთაგან 5 კრედიტი დათმობილია სასწავლო კურსებისათვის - საქართველოს ისტორია, ფსიქოლოგია, 28 კრედიტი განკუთვნილია აკადემიური წერის,

ინგლისური ენის შესწავლისა და საინფორმაციო ტექნოლოგიების დაუფლებისათვის, რაც ბაკალავრს გაუადვილებს საგანმანათლებლო-სამეცნიერო სივრცეში ორიენტირებას, თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების შემოქმედებითად გამოყენებას და განუვითარებს დარგობრივ კომპეტენციებს.

ძირითად ფარმაცევტულ დისციპლინებს ეთმობა 134 კრედიტი, მათი ერთობლიობა სტუდენტს მისცემს ფართო ცოდნას ფარმაცევტული საქმიანობის და დარგის შესახებ.

ფარმაციის საბაკალავრო პროგრამაში შემავალი კომპონენტების თანამიმდევრობა და შემდგომ საგანზე დაშვების წინაპირობები სრულად ასახულია სასწავლო გეგმაში. სასწავლო კურსები თავისუფალი კრედიტების სახით სტუდენტს შეუძლია აირჩიოს მიმდინარე სემესტრში, უნივერსიტეტში მოქმედი ნებისმიერი პროგრამიდან.

თითოეული სასწავლო კურსის კრედიტების რაოდენობა თანაფარდობაშია კურსის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან. დამოუკიდებელი და საკონტაქტო საათების რაოდენობა, სწავლისა და სწავლების სხვადასხვა მეთოდი შეესაბამება კურსის შინაარსსა და სწავლის შედეგებს.

საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კურსების ნაწილს წინაპირობა არ გააჩნია. საგნების წინაპირობების განსაზღვრა დაეფუძნა საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული შედეგების მისაღწევად ცოდნის თანდათანობით დაგროვებას.

მაპროფილებელი საგნების სილაბუსში (მაგ: კლინიკური ფარმაცია, ფარმაცევტული საქმიანობის ორგანიზაცია და ეკონომიკა, მენეჯმენტი-მარკეტინგი, წამლის ტექნოლოგია) მითითებული ძირითადი სასწავლო ლიტერატურა მოძველებულია და მოითხოვს განახლებას. ასევე აღსანიშნავია ზოგიერთი სასწავლო კურსის სილაბუსის სათაურსა და შინაარს (თემატიკას) შორის შეუსაბამისობა, ან შინაარსი არ შეესაბამება სათაურს ან სათაური შინაარს ვერ ასახავს. მაგ: კლინიკური უნარჩვევების სილაბუსში მოყვანილი თემატიკა უფრო შეესაბამება პირველადი სამედიცინო დახმარების საგანს და გადის მის კომპეტენციაზე.

#### **მტკიცებულებები/ინდიკატორები**

1. საგანმანათლებლო პროგრამა
2. სასწავლო კურსების სილაბუსები
3. ინტერვიურება პროგრამის ხელმძღვანელთან, პროგრამის განმახორციელებელ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან;
4. ინტერვიურება პროგრამის სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან

#### **რეკომენდაციები:**

სილაბუსებში მითითებული ძირითადი სასწავლო ლიტერატურის განახლება;

ზოგიერთ დისციპლინაში სილაბუსის სათაურსა და შინაარს (თემატიკას) შორის მეტი შესაბამისობა

#### **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**



<p><b>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის</li> </ul>
<p><b>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)</li> <li>○</li> </ul>
<p><b>შეფასება</b></p> <p>○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა</p> <p><input type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input checked="" type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან</p>

<p><b>2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება</b></p>
<p>პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.</p>
<p><b>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</b></p> <p>სტუდენტის ცოდნის შეფასებისათვის გამოიყენება როგორც ზეპირი, ასევე წერიტი გამოკითხვა, ჯგუფური/ ინდივიდუალური დავალების მომზადება, პრეზენტაცია, შეფასების კომპონენტები გაწერილია სასწავლო კურსის სილაბუსში და უზრუნველყოფს პროგრამის თითოეულ კომპონენტით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას. პროგრამაში გამოყენებული შეფასების მეთოდები მოიცავს შუალედურ და საბოლოო გამოცდის შეფასებას. საბოლოო შეფასება წარმოადგენს შუალედური შეფასების და დასკვნითი გამოცდის შეფასებათა ჯამს, რაც სილაბუსებში აისახება უნიფიცირებულად. ინფორმაცია შეფასების სისტემისა და კომპონენტების შესახებ დეტალურად მიეწოდება სტუდენტებს და დეტალურად არის განთავსებული უნივერსიტეტის ვებ პორტალზე.</p>

უნივერსიტეტის აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს ცალკე აქვს გამოყოფილი დამატებითი საათები სტუდენტთან ინდივიდუალური მუშაობისა და კონსულტაციისათვის რაც ასახულია სილაბუსებში.

ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ უნივერსიტეტში აქტიურად ფუნქციონირებს სტუდენტთა სამეცნიერო ცენტრი. სტუდენტები სამეცნიერო ხელმძღვანელთან ერთად ყოველწლიურად მონაწილეობენ საფაკულტეტო, საუნივერსიტეტო და სამეცნიერო კონფერენციებში და სხვა აქტივობებში არიან ჩართულნი.

აკადემიურ პერსონალთან ერთად კვლევით პროექტებში მონაწილეობენ სტუდენტებიც, სადაც ისინი იძენენ თეორიულ და პრაქტიკულ უნარ-ჩვევებს და სამეცნიერო მუშაობის გამოცდილებას. აკადემიური პერსონალის ხელმძღვანელობით სტუდენტები შეასრულებენ საბაკალავრო ნაშრომს, რომელიც ხელს უწყობს პრაქტიკული და ელემენტარული კვლევითი უნარ-ჩვევების გამომუშავებას.

### მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამა
- ვებ-გვერდი - [www.bsu.edu.ge](http://www.bsu.edu.ge)
- ინტერვიურება პროგრამის განმახორციელებელ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან;
- ინტერვიურება პროგრამის ხელმძღვანელთან
- ინტერვიურება პროგრამის სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან;

### რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

### რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

### საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

### მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
- 

### შეფასება

○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

<p><b>X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</b></p> <p><input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან</p>
--

<p><b>2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები</b></p>
<p>პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.</p>
<p><b>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</b></p> <p>სასწავლო კურსების სილაბუსებში წარმოდგენილია საბაკალავრო საფეხურის შესაბამისი სწავლება-სწავლის მრავალფეროვანი და სტუდენტზე ორიენტირებული მეთოდები, როგორცაა ჯგუფში მუშაობა, ლექცია/სემინარები, ლაბორატორიული მეცადინეობა, და სხვ. ამ მეთოდების კომბინაციები შერჩეულია თითოეული საგნის სპეციფიკის გათვალისწინებით. სასწავლო კურსში „მიკრობიოლოგიის, ვირუსოლოგიისა და იმუნოლოგიის საფუძვლები“ ასევე გამოიყენება პრობლემაზე დაფუძნებული სწავლების მეთოდები. პრაქტიკაზე დაფუძნებულ საგნებში (მაგ. სასწავლო პრაქტიკა ფარმაცოგნოზიაში) გამოიყენება მარშრუტული ექსპედიციის და ველად მუშაობის მეთოდები.</p> <p>სწავლება-სწავლის წარმოდგენილი მეთოდებით შესაძლებელია თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგების მიღწევა და სტუდენტების საჭიროებების გათვალისწინება. უსდ-ის „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, შეფასებისა და განვითარების უზრუნველყოფის წესით“ განსაზღვრული მექანიზმების შესაბამისად შესაძლებელია სტუდენტებისთვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავება.</p>
<p><b>მტკიცებულებები/ინდიკატორები</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>○ საგანმანათლებლო პროგრამა</li> <li>○ სასწავლო კურსების სილაბუსები</li> <li>○ „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, შეფასებისა და განვითარების უზრუნველყოფის წესი“</li> <li>○ ინტერვიუს შედეგები</li> </ul>
<p><b>რეკომენდაციები:</b></p> <p>წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ</p>

<p>პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები</p>
<p><b>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</b></p> <p>არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p>
<p><b>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის</li> </ul>
<p><b>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)</li> <li>○</li> </ul>
<p><b>შეფასება</b></p> <p>○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა</p> <p><input checked="" type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან</p>

<p><b>2.6. სტუდენტების შეფასება</b></p>
<p>სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი.</p>
<p><b>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</b></p> <p>სტუდენტის ცოდნის შეფასების პროცედურები, შუალედური და დასკვნითი შეფასებების საკითხები განსაზღვრულია უსდ-ის "სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით", რომლებიც ასახულია სასწავლო პროგრამის სილაბუსებში და ცნობილია სტუდენტებისთვის. სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა, მიიღონ უკუკავშირი სწავლის შედეგებზე, ძლიერ და გასაუმჯობესებელ საკითხებზე.</p> <p>სასწავლო კურსების სილაბუსებში შუალედური შეფასების კომპონენტში, საგნების სპეციფიკის გათვალისწინებით, წარმოდგენილია შეფასების განსხვავებული ფორმები, როგორებიცაა ზეპირი გამოკითხვა, პრეზენტაცია, რეფერატი, ლაბორატორიული სამუშაოს</p>

შესრულება, ქვიზი, დისკუსია და სხვა. სასწავლო კურსების უმრავლესობაში დასკვნითი შეფასება მოიცავს შერეული ტიპის გამოცდას (ტესტირება და წერიტი/ზეპირი გამოცდა). პრაქტიკული კურსების შეფასებისთვის ასევე გამოიყენება პრაქტიკის ოქმები.

სასწავლო კურსების სილაბუსების უმეტეს ნაწილში მოცემულია შეფასების ფორმები და კრიტერიუმები. თუმცა, სილაბუსების გარკვეულ ნაწილში ზეპირი გამოკითხვების შეფასების კომპონენტებში წარმოდგენილია მხოლოდ მაქსიმალური შეფასება და არ არის განმარტებული, რა კრიტერიუმების მიხედვით ხდება სტუდენტისთვის ქულის მინიჭება. კერძოდ, ეს ეხება შემდეგ სასწავლო კურსებს:

- ფარმაცევტული ეთიკა და დეონტოლოგია
- ადამიანის ანატომიის საფუძვლები
- სამედიცინო ფიზიკა ბიოფიზიკით
- ანალიზის ინსტრუმენტული მეთოდები
- მიკრობიოლოგია, ვირუსოლოგია, იმუნოლოგიის საფუძვლები
- პათოლოგია
- ჰიგიენის საფუძვლები ფარმაციაში
- ზოგადი ბიოქიმია
- ფარმაცევტული საქმიანობის ორგანიზაცია და ეკონომიკა
- ფარმაციის მენეჯმენტი და მარკეტინგი
- ფარმაკოლოგია
- ფსიქოლოგია

გარდა ამისა, საბაკალავრო ნაშრომის შეფასების წესში წარმოდგენილია მხოლოდ საჯარო დაცვის შეფასების კრიტერიუმები, მაგრამ არ არის განსაზღვრული, თუ რა ფორმით ხდება ხელმძღვანელის მიერ ნაშრომის შესრულების მიმდინარეობის შეფასება და რეცენზენტის შეფასება, რომელიც განსაზღვრულია 30 ქულით.

უსდ-ის პორტალის მეშვეობით სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა, საგამოცდო ნაშრომების შეფასებებზე თანდართული კომენტარის სახით მიიღონ უკუკავშირი შემფასებლის მიერ შესაბამისი განმარტებებით. ამავე პორტალის მეშვეობით შესაძლებელია შეფასების შედეგების გასაჩივრება.

#### **მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- "სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი"
- საგანმანათლებლო პროგრამა
- სასწავლო კურსების სილაბუსები
- სტუდენტური პორტალი
- ინტერვიუს შედეგები

#### **რეკომენდაციები:**

- სასწავლო კურსების სილაბუსებში, სადაც ზეპირი გამოკითხვების კომპონენტებში მოცემულია მხოლოდ მაქსიმალური შეფასება, საჭიროა ასევე წარმოდგენილი იყოს

<p>შესაბამისი კრიტერიუმები, თუ რის მიხედვით უნდა მოხდეს კონკრეტული ქულით სტუდენტის შეფასება;</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• საბაკალავრო ნაშრომის შეფასების წესში საჭიროა დეტალურად განსაზღვრული იყოს ხელმძღვანელის მიერ ნაშრომის შესრულების მიმდინარეობის შეფასების და რეცენზენტის შეფასების კრიტერიუმები.</li> </ul>
<p><b>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</b></p>
<p><b>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>○ უსდ-ის პორტალის მეშვეობით სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა, საგამოცდო ნაშრომების შეფასებებზე თანდართული კომენტარის სახით მიიღონ უკუკავშირი შემფასებლის მიერ შესაბამისი განმარტებებით.</li> </ul>
<p><b>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)</li> </ul>
<p><b>შეფასება</b></p> <p>○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა</p> <p><input type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input checked="" type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან</p>

**პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა**

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება,		X		

პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა				
---	--	--	--	--

### 3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში.

#### 3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება

სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე, დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციას და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით მხარდაჭერას.

#### სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტებს სასწავლო პროცესთან და აკადემიურ მიღწევებთან დაკავშირებულ საკითხებზე კონსულტაციის მიღება შეუძლიათ ფაკულტეტის ადმინისტრაციისა და აკადემიური პერსონალის მხრიდან.

დასაქმებასთან დაკავშირებულ საკითხებზე ინფორმაცია სტუდენტებისთვის ხელმისაწვდომია უსდ-ის პორტალის მეშვეობით, სადაც ხდება არსებული ვაკანსიების განთავსება.

პროგრამის სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა, წინასწარ განსაზღვრული გრაფიკის მიხედვით ისარგებლონ საკონსულტაციო საათებით აკადემიურ პერსონალთან და მოწვეულ სპეციალისტებთან. ამ განრიგის ნახვა სტუდენტებს შეუძლიათ ფაკულტეტის საინფორმაციო დაფაზე.

სტუდენტები ინფორმირებული არიან საერთაშორისო პროექტების, ღონისძიებების, გაცვლითი პროგრამებისა და კონფერენციების, ასევე, კულტურული ღონისძიებების შესახებ და აქვთ აღნიშნულ პროექტებში მონაწილეობის საშუალება. პროგრამის სტუდენტები ერთვებიან ფაკულტეტის მიერ ორგანიზებულ სტუდენტურ სამეცნიერო კონფერენციებში.

საგანმანათლებლო პროგრამის აკადემიურ პერსონალს და სტუდენტებს შესაძლებლობა აქვთ, უსდ-ის მიერ მიიღონ დაფინანსება სამეცნიერო-კვლევითი პროექტების განსახორციელებლად, თუმცა მოცემული პროგრამის ფარგლებში ამ შესაძლებლობის გამოყენება ნაკლებად ხდება.

#### მტკიცებულებები/ინდიკატორები

1. „სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის სამსახურის

<p>დებულება“</p> <ol style="list-style-type: none"> <li>2. საკონსულტაციო განრიგი.</li> <li>3. სტუდენტური პორტალი</li> <li>4. კონფერენციებში მონაწილეობის დამადასტურებელი სერტიფიკატები</li> <li>5. ინტერვიუს შედეგები</li> </ol>
<p><b>რეკომენდაციები:</b></p> <p>წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები</p>
<p><b>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>• სასურველია გაიზარდოს პროგრამის აკადემიური პერსონალისა და სტუდენტების ჩართულობა სამეცნიერო-კვლევით პროექტებში</li> </ul>
<p><b>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის</li> </ul>
